საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 2 18 00662910

05/06/2018

მოქალაქე: ირინა გურგენაშვილს
ელ.ფოსტა: Irina_gurgenashvili@yahoo.com

ქალბატონო ირინა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილ თქვენი 2018 წლის 29 მაისის განცხადებასთან (სამინისტროში რეგისტრაციის N634950; 29.05.2018) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების, ასევე ,,საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის ,,ბ" პუნქტის თანახმად, გიგზავნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დაცულ ინფორმაციას, კერძოდ 2012-2018 წლებში რამდენმა მოსწავლემ ისარგებლა სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი ტრანსპორტით, ასევე 2012-2018 წლებში მშენებლობის პროცესში მყოფი და დასრულებული სკოლების მონაცემებს.

ამასთან გაცნობებთ, რომ 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრში „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამით განსაზღვრულია 1245 საჯარო სკოლის დაახლოებით 75 000-მდე მოსწავლის მომსახურება. მათ შორის 3 580-მდე მოსწავლის ტრანსპორტირების საჭიროება აღარ დადგა, ვინაიდან სსიპ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ მიერ მეექვსე ტექნიკური დავალების რიგ სკოლებში სარემონტო სამუშაოების დაწყების ვადებმა სასწავლო წლის დასრულებამდე გადაიწია.

2013 წლის 26 ივლისს აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა (Millennium Challenge Corporation - MCC) და საქართველოს მთავრობას შორის ხელი მოეწერა მეორე კომპაქტის ხელშეკრულებას, კომპაქტის დაფინანსებით 2014 წლიდან მიმდინარეობდა სკოლების საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება და დაგეგმილი სარეაბილიტაციო სკოლების სრული სიის დაზუსტება. 2015 წელს რეაბილიტაცია დაიწყო მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, სამცხე ჯავახეთის რეგიონის საჯარო სკოლებში. მიმდინარე ეტაპზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია 30 საჯარო სკოლაში. სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს 28 საჯარო სკოლაში, ხოლო 2019 წელს - დასრულდება 33 საჯარო სკოლაში. 2016 წლიდან დღემდე აღიჭურვა 62 სკოლა, ინვენტარზე დახარჯული იქნა 2 111 777.90 ლარი.

აგრეთვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ ზემოაღნიშნული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

დანართი - ,,2 ელექტრონული ფაილი“

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოხელე



სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ნინო გაბრიელაშვილი